

შპს “ერკერი”

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს “ერკერი”

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	6
1 ზოგადი ინფორმაცია.....	6
2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	6
3 ფული და ფულის ექვივალენტები	10
4 ძირითადი საშუალებები	10
5 კაპიტალი.....	10
6 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11
7 ამონაგები.....	11
8 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	11
9 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	11
10 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	11

შპს “ერკერი”
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	791,511	747,576
არამატერიალური აქტივები		1,242	1,462
სულ გრძელვადიანი აქტივები		792,753	749,038
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		39,964	74,110
სავაჭრო მოთხოვნები		578,056	1,516,983
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	4,073,749	751,031
საგადასახადო აქტივები		671,168	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,362,937	2,342,124
სულ აქტივები		6,155,690	3,091,162
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1,600,529	2,213,349
სულ კაპიტალი	5	1,600,529	2,213,349
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6	4,555,161	757,921
საგადასახადო ვალდებულება		-	119,892
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,555,161	877,813
მთლიანი ვალდებულებები		4,555,161	877,813
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		6,155,690	3,091,162

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს.

ბექან ბოჭორიშვილი
 დირექტორი

შპს "ერკერი"
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-24	31-12-23
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	791,511	747,576
არამატერიალური აქტივები		1,242	1,462
სულ გრძელვადიანი აქტივები		792,753	749,038
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		39,964	74,110
სავაჭრო მოთხოვნები		578,056	1,516,983
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	4,073,749	751,031
საგადასახადო აქტივები		671,168	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,362,937	2,342,124
სულ აქტივები		6,155,690	3,091,162
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1,600,529	2,213,349
სულ კაპიტალი	5	1,600,529	2,213,349
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6	4,555,161	757,921
საგადასახადო ვალდებულება		-	119,892
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,555,161	877,813
მთლიანი ვალდებულებები		4,555,161	877,813
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		6,155,690	3,091,162

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ზელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს.

ბეჟან ზოჭორიშვილი
 დირექტორი



შპს “ერკერი”
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	7	6,231,665	5,948,375
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4,811,678)	(4,125,485)
საერთო მოგება		1,419,987	1,822,890
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(856,592)	(499,268)
საოპერაციო მოგება		563,395	1,323,622
საპროცენტო შემოსავალი		193,797	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(183,417)	(271,982)
წმინდა ფინანსური მოგება/მოგება დაბეგვრამდე		573,775	1,051,640
მოგების გადასახადის ხარჯი		(178,174)	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		395,601	1,051,640

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს.

 ბექან ბოჭორიშვილი
 დირექტორი

შპს "ერკერი"
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	7	6,231,665	5,948,375
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4,811,678)	(4,125,485)
საერთო მოგება		1,419,987	1,822,890
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(856,592)	(499,268)
საოპერაციო მოგება		563,395	1,323,622
საპროცენტო შემოსავალი		193,797	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა		(183,417)	(271,982)
წმინდა ფინანსური მოგება/მოგება დაბეგვრამდე		573,775	1,051,640
მოგების გადასახადის ხარჯი		(178,174)	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		395,601	1,051,640

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 19 სექტემბერს.

ბეჟან ბოჭორიშვილი
 დირექტორი



შპს “ერკერი”
 ფინანსური ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1,161,726	1,161,726
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	1,051,640	1,051,640
სხვა ცვლილებები	(17)	(17)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	2,213,349	2,213,349
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	395,601	395,601
გადახდილი დივიდენდები	(1,008,421)	(1,008,421)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	1,600,529	1,600,529

შპს “ერკერი”

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	2024	2023
წლის მოგება	395,601	1,051,640
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	69,444	69,104
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	(193,797)	-
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე	271,248	1,120,744
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	938,927	(1,243,671)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	3,888,966	625,149
ცვლილება მარაგებში	34,146	(30,529)
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში	(671,168)	111,815
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	4,462,119	583,507
საინვესტიციო საქმიანობა		
ძირითადი საშუალების შეძენა	(130,980)	(33,523)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფული	(130,980)	(33,523)
ფინანსური საქმიანობა		
გადახდილი დივიდენდები	(1,008,421)	-
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფული	(1,008,421)	-
ფულისა და ფულის ეკვივალენტების ზრდა (შემცირება)	3,322,718	549,984
წლის დასაწყისში	751,031	201,047
უცხოური ვალუტის ცვლილება ფული და ფულის ეკვივალენტებში	-	-
წლის ბოლოს	4,073,749	201,047

შპს „ერკერი“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ერკერი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205143085) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2006 წლის 13 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, დიდი დილომი, ი.პეტრიწის ქ. კორპ. 5, ბ. 18 კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მშენებლობა.

კომპანიის წილი 2024 წლის 31 დეკემბრის გადანაწილებული იყო შემდეგნაირად:

ბექან ბოჭორიშვილი - 54001009401 - 60%

დავით ბოჭორიშვილი - 01025019991 - 40%

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, ამავე (მე-2) განმარტებით შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.8068	2.9306
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.6894	2.9753

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

	წელი
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	5 – 16
სატრანსპორტო საშუალებები	15-20
მანქანა- დანადგარები	15-20

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

შპს “ერკერი”

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ექვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება გასაყიდად გამიზნული სატრანსპორტო საშუალებებისგან.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო ვალდებულებები/აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

შპს “ერკერი”

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შპს “ერკერი”

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

	31-12-24	31-12-23
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,073,749	740,273
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	10,758
სულ	4,073,749	751,031

4 ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწის ნაკვეთები	სატრანსპორტო საშუალებები	ავტო და სხვა ინვენტარი	მანქანა- დანაგარები	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა	სულ
01-01-23	184,400	957,542	16,979	495,687	7,670	139,757	1,802,035
შემენა	-	-	3,547	26,165	3,811		33,523
31-12-23	184,400	957,542	20,527	521,851	11,481	139,757	1,835,558
შემენა	-	46,020	9,581	75,061	278	40	130,980
გასვლა	-	-	(136)	(17,602)	-	-	(17,738)
31-12-24	184,400	1,003,562	29,972	579,311	11,759	139,797	1,948,800
დაგროვილი ცვეთა							
01-01-23	-	(636,180)	(11,182)	(342,162)	(4,778)	(24,575)	(1,018,877)
ცვეთის ხარჯი	-	(38,607)	(1,328)	(26,517)	(833)	(1,819)	(69,104)
31-12-23	-	(674,787)	(12,510)	(368,679)	(5,611)	(26,394)	(1,087,981)
ცვეთის ხარჯი	-	(33,515)	(2,693)	(30,560)	(1,214)	(1,462)	(69,444)
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა			136	-			136
31-12-24	-	(708,302)	(15,068)	(399,240)	(6,825)	(27,855)	(1,157,290)
საბალანსო ღირებულება							
31/12/23	184,400	282,755	8,016	153,172	5,870	113,363	747,576
საბალანსო ღირებულება							
31/12/24	184,400	295,260	14,905	180,071	4,934	111,942	791,511

5 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს ნულ ლარს (2023: ნულ ლარს), ხოლო გაუნაწილებელი მოგება 1,600,529 ლარს (2023: 2,213,349 ლარს).

შპს “ერკერი”

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2024	2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	71,639	332,866
მიღებული ავანსები	4,464,758	391,483
სხვა	18,764	33,572
სულ	4,555,161	757,921

7 ამონაგები

კომპანია ამონაგებს აღიარებს დროის კონკრეტულ მომენტში.

კომპანია შემოსავლებს იღებს შემდეგი მიმართულებებიდან:

- საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა;
- გამანაწილებელი საინჟინრო ობიექტების მშენებლობა ;
- წყლის ნაგებობების მშენებლობა;
- სხვა საინჟინრო ნაგებობების მშენებლობა სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველის;
- მოსამზადებელი სამუშაოები სამშენებლო მოედანზე ;
- სხვა მოსაპირკეთებელი სამუშაოები;
- სხვა სპეციალიზებული სამშენებლო სამუშაოები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი.

8 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	547,736	319,250
რემონტის ხარჯები	69,406	40,454
საწვავის ხარჯი	108,026	62,963
ცვთა და ამორტიზაცია	69,444	40,476
სხვა ხარჯი	61,980	36,125
სულ	856,592	499,268

9 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება 2024 წლის განმავლობაში შეადგენდა 226,541 ლარს (2023 – 280,889 ლარი).

10 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

2025 წელს, ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე კომპანიამ გამოაცხადა 236,842 ლარის დივიდენდი. ანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.